ჭეშმარიტად, ამ სიტყვების წარმოთქმა: " წმინდა და უნაკლოა ალლაჰი /სუბჰაანალლაჰ, ქება-დიდება ალლაჰს/ალჰამდულილლაჰ, არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა/ლაა ილააჰა ილლა ალლააჰ, ალლაჰი უდიდესია/ალლაჰუ აქბარ", - უფრო საყვარელია ჩემთვის, ვიდრე ის რაზეც მზე ამოდის

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ამ სიტყვების წარმოთქმა: " წმინდა და უნაკლოა ალლაჰი /სუბჰაანალლაჰ, ქება-დიდება ალლაჰს/ალჰამდულილლაჰ, არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა/ლაა ილააჰა ილლა ალლააჰ, ალლაჰი უდიდესია/ალლაჰუ აქბარ", - უფრო საყვარელია ჩემთვის, ვიდრე ის რაზეც მზე ამოდის».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ უზენაესი ალლაჰის ხსენება ამ ძვირფასი სიტყვებით უფრო კარგია, ვიდრე მთელი ეს ქვეყანა და მასში არსებული, ეს სიტყვებია: "დიდებულია ალლაჰი /სუბჰაანალლაჰ" : ალლაჰის განდიდება ყოველგვარი ნაკლოვანებისგან. "ქება-დიდება ალლაჰს /ალჰამდულილლაჰ": მისი შექება სრულყოფილი თვისებებით სიყვარულთან და განდიდებასთან ერთად. "არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა/ლაა ილააჰა ილლა ალლაჰ": არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანებელი, გარდა ალლაჰისა. "ალლაჰი უდიდესია /ალლაჰუ აქბარ": ის დიადი და უდიდესია ყველაფერზე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/6211